პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 ხუთშაბათი 10 მარტი № 57 (16794) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის ვებნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

მექანიზატორი თანამედროვე სოფლის მეურნეობის ცენტრალური ფიგურაა. მის ცოდნასა და პროფესიულ ოსტატობაზე, გამოცდილებაზე, საქმისადმი მიდგომაზე გადამწყვეტწილად არის დამოკიდებული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის, მუშათა საბოლოო შედეგები. ორ ცვლად მუშაობისათვის მექანიზატორთა კადრებით მეურნეობათა უზრუნველყოფას ამჟამად უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილიდან.

ᲚᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ — ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ!

ᲐᲠᲪᲔᲠᲗᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲝᲗ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ!

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმრეწვის“ კოლექტივი გასული წლის მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით გამარჯვებული გამოვდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და პირველი ადგილი და გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებულმა საწარმოს კოლექტივმა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ახალი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრა და გადაწყვეტა მეათე ხუთწლედის პირველი ორი წლის გეგმა 7 ნოემბრისთვის შეასრულოს და 2 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გაასაღოს.

იანვარ-თებერვალი გაერთიანების კოლექტივმა დამკვრელური შრომით აღნიშნა, საგრძნობლად გადაჭარბა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმებს, გამოშვებულია მხოლოდ პირველი და უმაღლესი ხარისხის პროდუქცია. („კომუნისტის“ კორ.).

ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). არცერთი ჩამორჩენილი ჩვენს რიგებში! — ამ დევიზით დადგა შაბათობის ვახტზე ავეჯის ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც იკისრა 16 აპრილს მაქსიმალური ნაყოფიერებით იმრომოს.

ახლა საწარმოში ყოველდღიური დაკალები გადაჭარბებით სრულდება, განსაკუთრებით დაწინაურდნენ რბილი ავეჯის და ხის დამშუშავებელი საამქროები.

— შაბათობის დღეს დამკვრელურად ვიზრომებთ, — გამომუშავებელ ხელფასს ხუთწლედის ფონდში გადავრიცხავთ, — თქვა ჩვენთან საუბარში ფაბრიკის მუშამ ა. მელაძემ, — ასე ფიქრობს ჩვენი კოლექტივის ყველა წევრი.

ᲒᲔᲒᲛᲐᲒᲔ ᲛᲔᲢᲘ

ᲒᲝᲠᲘ. ამერიკაკავასიაში უდიდესი — გორის პურ-პროდუქტების საწარმოო კომბინატის (დირექტორი ვ. ბებიაშვილი) კოლექტივი ჩინებულად შრომობს მეათე ხუთწლედის მეორე წლის სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების განაღდებისათვის.

კოლექტივმა ორი თვის გეგმა ადრე შეასრულა, გამომუშავებია 17.672 ტონა პირველი და მეორე ხარისხის ფქვილი გეგმით გათვალისწინებული 17.625 ტონის ნაცვლად. მეცხოველეობისათვის დამზადებულია 23.290 ტონა კომბინირებული საკვები, რაც გეგმაზე მეტია.

გ. ᲗᲐᲕᲐᲫᲘᲡ.

ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

ᲖᲕᲠᲔᲑᲨᲘ ᲮᲐᲚᲮᲛᲠᲐᲕᲚᲝᲑᲐᲐ

ᲗᲘᲠᲯᲝᲚᲐ. (საკ. კორ.). საქმეს ეშურებიან რაიონის მეკენახეები. ასეთი თბილი და მშრალი ამინდები ხანდაზმულ ადამიანებსაც კარგახანია არ ახსოვთ. დილადან გვიან საღამომდე ხალხმრავლობაა ზვრებში, მალე დამთავრდება ნიადაგის დამუშავება, ვაზის გასხვლა, სასუქების შეტანა, შპალერის მოწყობა და შეკეთება.

ვენახების დამუშავება მთლიანად დაამთავრეს ჩიხარის, საზანოს „წითელი ოქტომბრის“ და 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობებმა, მეცხოველეობის რაიონული გაერთიანების მეურნეობამ.

წლეულს განსაკუთრებით დიდი ღონისძიება ხორციელდება სიმეჩხრის შესამცირებლად. შემოღებულია პრემიული სისტემა —15 კაპიკი თვითეული ძირი ვაზისათვის. ამ სიახლემ მეკენახეები დიდად დაინტერესა. ათეულ ათასობით გაცდენილი ადგილები შეავსეს გადაწიდნული ვაზის რქებით ძევრელმა, ზედა სიმონეთელმა, სიქთარველმა და ნახშირღელელმა მეზვრეებმა. ეს სამუშაო სულ უფრო და უფრო მასობრივი ხდება, რითაც წლეულსვე დამატებით ასეულობით ტონა ყურძენს მიიღებენ.

ო. ᲜᲘᲥᲐᲑᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲛᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲑᲐᲢᲙᲐᲜᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. (საკ. კორ.). კასპიისპირეთში მყოფ რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა მეცხვარეობის ფერმებში დოლი წარმატებით მიმდინარეობს. საიუბილეო წელს დასადღესასწაულებელია 46 ათასი ნერბი.

უკანამხარის, ბალაანის, ლარგვისის კოლმეურნეობათა ფარებში უკვე 3 ათას ბატკანზე მეტი პყავთ. დოლი მასობრივად გაჩაღდა. ამ პასუხსაგებ კამპანიას მომზადებული შეხვდნენ რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

მეცხვარეთა დასახმარებლად ყიზლარში დამატებით 200 კაცი ჩავიდა, გაიგზავნა მანქანები, ტექნიკა, დიდი რაოდენობით კომბინირებული საკვები.

თითო ნერბიდან — თითო ბატკანი! ამ დევიზით შრომობენ რაიონში სახელგანთქმული თავჩობნები შ. შიუკაშვილი, ა. თეზელაშვილი, დ. ჩიტაშვილი, ა. ბალაშვილი, ბ. ბედოევი, ძ. ხინჩაგოვი. მათ გადაწყვეტეს მატყლის ნაპარსის წონა ერთ ცხვარზე 2,6 კილოგრამამდე აიყვანონ.

ᲗᲔᲡᲐᲕᲔᲜ ᲥᲐᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ამ პირველ დღეებში ჩვენი რესპუბლიკის ველმინდვრებში შეუდგნენ საგაზაფხულო კულტურების თესვას. ამ სამუშაოებისათვის კარგად მოემზადნენ მცხეთის რაიონის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც საქმით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“. რაიონში უკვე დათესილია 527 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები.

ძალისის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობაში გარდა სხვა კულტურებისა, 150 ჰექტარზე დაითესა სასენაჟე შვრია. აქ კარგი შრომითი მაჩვენებლები აქვთ მოწინავე ტრაქტორისტებს მ. თოლუზაშვილს, რ. უამბეგაშვილს, მთესავებს: მ. ვალიშვილს, უ. ქოქაშვილს და სხვებს.

სურათებზე: ზემოთ — მოწინავე ტრაქტორისტი მ. თოლუზაშვილი; ქვემოთ საგაზაფხულო კულტურების თესვა ძალისის საბჭოთა მეურნეობაში.

გ. ᲑᲝᲒᲝᲜᲘᲐᲡ ფოტო.

ᲗᲔᲡᲐᲕᲔᲜ ᲥᲐᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ

მტკიცე საფუძველი — მეათე ხუთწლედის მეორე წლის უსვ მოსავალს!

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲚᲘᲡ ᲐᲚᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ იმყოფებოდა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სამხედრო დელეგაცია ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის, ეროვნული თავდაცვის მინისტრის, არმიის გენერლის ვო ნგუენ ზიაპის მეთაურობით. დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშლის დ. თ. უსტინოვის მოწვევით.

9 მარტს დელეგაცია მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

გაიმართა საუბარი, რომლის დროს ამბ. ვო ნგუენ ზიაპმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვიეტნამის რევოლუციის გამარჯვება — ეს არის სოციალიზმის, ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ძალების გამარჯვება. მან ძალიან მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის როლს ამ დიად გამარჯვებაში და აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხის, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ყველა ხალხის უანგაროო დახმარება ფასდაუდებელია მისი სიმშობლისათვის. ახლა ვიეტნამელი ხალხი იშუშებს მრავალწლიანი ომის პრიალობებს, და მასთან ერთად მზრდამზრდ მუშაობენ საბჭოთა კავშირის, მათ შორის საქართველოს სპეციალისტებიც. ამბ. ვო ნგუენ ზიაპმა საქართველოს კომუნისტებს, მთელ ქართველ ხალხს წარმატებანი უსურვა კომუნიზმის მშენებლობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მშრომელთა სახელით ამბ. ე. ა. შევარდნაძემ მიულოცა დელეგაციის წევრებს სამშობლოს გაერთიანება. საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი ყურადღებით აღევნებდნენ თვალს თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას და ეხმარებოდნენ ამ ბრძოლაში. ვიეტნამში მუშაობდნენ და მუშაობენ საქართველოს სპეციალისტები, ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში, სამუალო-სპეციალურ სასწავლებლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი პ. ვ. შელნიკოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ა. მ. ოვერჩუკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოოთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. ი. კოკაძე. (საინფორმი).

ᲡᲐᲙᲐᲠᲛᲘᲓᲐᲛᲝ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲐ — ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘ

სიუხვის სამსახურში ჩავაყენოთ ხორცის წარმოების ყველა რეზერვი! — ამ ამოცანის შესრულებაში საპატიო წვლილის შეტანა შეუძლიათ სოფლის მშრომელებს — საკარმიდამო მეურნეობაში გაასუქონ პირუტყვი და სახელმწიფოს მიჰყიდონ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის გადაწყვეტილების პასუხად რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობამ პატრიოტულ მოვალეობად მიიჩნია ამ დიდ და სასარგებლო საქმეში თავისი წვლილი შეიტანოს.

დღეს ჩვენ ვბეჭდავთ წერილებს იმათ შესახებ, ვინც თავისი სიტყვა საქმედ აქცია, სახელმწიფოს საკარმიდამო მეურნეობიდან დიდძალი ხორცი მიჰყიდა და სათანადო ანაზღაურებაც მიიღო.

ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲫᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ

ᲐᲠᲐᲑᲖᲘᲡᲯᲘᲠᲘᲡ საბჭოთა მეურნეობის მწყემსმა მამუკა ჭინჭარაულმა, მისმა შვილებმა გადაწყვიტეს, საკარმიდამოში გაზრდილი პირუტყვი ბაზარში კი არ გაეყვანათ, არამედ სახელმწიფოსთვის მიეყიდათ. ასეც მოიქცნენ. ცხვარი დუშეთის ცხოველმზადების პუნქტს მიჰყიდეს და საფასურად 11.873 მანეთი მიიღეს.

მამუკა ჭინჭარაულს დუშეთის რაიონში ბევრი მომბაძველი გამოუჩნდა. თავიანთი პირუტყვი დამზადების პუნქტში მიიყვანეს გუდამაურელმა არჩილ ოიკლაურმა, უკანაფშაველებმა თამარ კობაიძემ, ფილიპე ბაღაურმა, კიტოხელმა კოლა ოიკლაურმა,

შარშან დუშეთის რაიონში საკარმიდამო მეურნეობიდან სახელმწიფოს 3.040 ტონა ხორცი მიეყიდა.

მჭადიჯვრის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ივანე რაზმაძემ ღორები შინ გაასუქა და ამ დღეებში სახელმწიფოს 665 კილოგრამი ღორის ხორცი მიჰყიდა, ივანე ნამგალაურმა — 300 კილოგრამი, ლუარსაბ ხულუზაურმა — 250 კილოგრამამ.

როგორც წინასწარი გაანგარიშებით დადგინდა, წლეულს რაიონის მშრომელები შინ გაასუქებენ და სახელმწიფოს მიჰყიდიან პირუტყვს, რომლის წონა 3.300 ტონაზე მეტი იქნება.

რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მშრომელებს შინ გასასუქებლად გადასცემენ 500 გოჭს. მათ ხელს შეუწყობენ საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფაში. შემოდგომაზე საზოგადოებრივი მეურნეობები გასუქებულ ღორებს უკან დაიბრუნებენ, საზღაურად კი მშრომელებს დიდძალ თანხას მისცემენ.

დუშეთის რაიონის მშრომელთა ეს მაგალითი ნამდვილად მისაბაძია.

ა. ᲗᲝᲛᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲡᲣᲥᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘ

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ. (საკ. კორ.). წლეულს ლაგოდეხის რაიონის მოსახლეობამ გადაწყვიტა საკარმიდამო მეურნეობაში გაასუქონ პირუტყვი და მიჰყიდონ სახელმწიფოს.

უკვე დაიწყო ხორცის სახელმწიფოსათვის მიყიდვა. ცოდნისკარელმა ბაიოზ ცაცხლაძემ 385 კილოგრამი ღორის ხორცი მიჰყიდა სახელმწიფოს, აფენელმა კოლმეურნემ ნიკოლოზ ნოზაძემ — 410 კილოგრამი საჭონლის ხორცი, ლელიანელმა ალექსანდრე ღვალაძემ — 551 კილოგრამი, ჭაბუკიანელმა კაკო სამხარაძემ — 340 კილოგრამი.

რაიონის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, საზოგადოებრივი მეურნეობები მშრომელებს ეხმარებიან პირუტყვის გასუქებაში, გამოუყვეს საკვები, სხვადასხვა საჭირო ინვენტარი.

8-9 მარტი

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲚ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ საზოგადოების განვითარების კვალობაზე იზრდება ქალთა როლი მთელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების გადაწყვეტაში, ნათქვამია გუშინწინდელ მეთაურ წერილში („საბჭოთა პატრიოტები“).

პარტიის პოლიტიკის მიზანი ის არის, რომ საბჭოთა ქალს ახალ-ახალი შესაძლებლობები შეექმნას როგორც ბავშვების აღმზრდელს, როგორც არა მარტო შრომის პროცესის, არამედ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების მთელი პროცესის მონაწილეს.

ციბეზე ერთად ადიან კოსმონავტი მფრინავი და მუშა ქალი, პროფესორი და მწეველავი, ბალერინა და გამყიდველი, თბმბავლის კაპიტანი და ექიმი, მთავრობის წევრი და მასწავლებელი...

ხელში უჭირავთ წითელი მიხაკები — რეკოლუციის, მსოფლიოს განახლების ყვავილები, — წერს გაზეთი „(**დროისა და საკუთარი თავის შესახებ**“).

საჭირო არ არის წარმოგიდგენოთ შეხვედრის თავმჯდომარე — ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა, ადამიანი, რომელსაც მთელი პლანეტა იცნობს... იგი თავისი ბედის, თავისი ბედნიერების სრულფასებანი ბატონ-პატრონი გახდა. ამაზე მოგვითხრობს **ე. დვორნიკოვისა** და **მ. სტეპანიშვილის** წერილი, რომელიც 8 მარტის ნომერშია გამოქვეყნებული.

ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის მზადების გეგმები ბევრ ღონისძიებას შეიცავს — წერს გაზეთი გუშინდელ მოწიხავეში („კულტურის ოსტატები — ოქტომბრის ოებილეს“), **რომლებიც მოწმობს ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ჩვენი კულტურის ღრმა დემოკრატიზმს, ნამდვილ ხალხურობას. გაიმართება სსრ კავშირის ხელოვნების საკავშირო ფესტივალი, საბჭოთა ლიტერატურისა და მუსიკის დღეები რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში... ახალი ფილმების ფესტივალები ხუთწლედის უდიდეს მშენებლობებზე. მოეწყობა სახვითი ხელოვნების საერთაშორისო და საკავშირო გამოფენები, კულტურის მოღვაწეთა მრავალი შეხვედრა სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებთან, მინდვრის მშრომელებთან. შემოქმედებითი კავშირებისა და ხელოვნების დაწესებულებების პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთ შეუნელებელ კონტროლს უნდა დაუქვემდებარონ ამ საიუბილო გეგმების შესრულება, უზრუნველყონ მათი მაღალი იდეურ-მხატვრული დონე.**

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

1977 ᲬᲚᲘᲡ 31 მარტიდან 5 აპრილამდე კიშინიოვის, ოდესისა და ნიკოლაევის რაიონში გათვალისწინებულია მოეწყოს ჯარების წვრთნა, რომლის მიზანია სახმელეთო ჯარებისა და საზღვრო-საჰაერო ძალების ნაწილებისა და ქვეგანყოფილების შეთანხმებული მოქმედების განსაზღვრა.

ჯარების წვრთნაში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 25 ათასი კაცი.

ДАВАМКВІДРОТ მუშაობის ლენინური სტილი

როცა შესრულებას ვაამოწმებთ...

სკკპ XXV ყრილობა უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, ხოლო კომუნისტთა ამ დიდი ფორუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის საბრძოლო ორიენტირია. პარტიის დიდი წინასწარდასახულობანი შთაგონებს ადამიანებს გამოძებნონ მათი განხორციელების რეალური გზები, იმუშაონ დღეს უკეთ, ვიდრე გუშინ, ხოლო ხვალ უკეთ, ვიდრე დღეს.

არავითარი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად ამაღლდა პარტიული ორგანიზაციების როლი, გაიზარდა მათი აუტორიტეტი. ჩვენი საბჭოთა მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციასაც, რომელიც თავის რიგებში ოთხმოცზე მეტ კომუნისტს აერთიანებს, მოღვაწეობის მთავარ მიზნად მიაჩნია პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შემდგომი სრულყოფა, ლენინური სტილის დამკვიდრებისათვის ბრძოლა.

პარტიული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საქმეში ლენინური პრინციპების განხორციელებას. წარმოების გადამწყვეტ უბნებს, გამოცდილი კომუნისტები უდგანან სათავეში. ისინი კარგ მაგალითს აძლევენ მეურნეობის მუშაობასა და სტაციონალებს. პარტიული კომიტეტი პერიოდულად ისმენს საბრიგადო პარტიული ორგანიზაციების მდივნების ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ. მდივნებისა და მათი ჯგუფების ანგარიშებისათვის შექმნილია მოქმედი სემინარი, ხოლო პარტიული კომიტეტის ერთ-ერთი წევრი გამოყოფილია საბრიგადო პარტიული ორგანიზაციებისათვის ელექტროფიცირებისა და დახმარების გასაწევად. ყოველივე ამან საგრძნობლად შეუწყო ხელი პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტის ამაღლებას, მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის ზრდას, ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა საღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას, ახალი რეზერვების ამოქმედებას.

ჩვენს მეურნეობას მუშახელი აკლია. ამიტომ დღის წესრიგში სულ უფრო მეტი სიმწვავით დგება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საკითხი. ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხი კი ვაზის ძირების დამუშავებაა. მეტ-ნაკლებ ალბათობით ეს ოპერაციაც ადვილად ავტომატიზებულ-მექანიზებულ ფორმებს ეძებს. ამ საკითხზე ბევრ ადგილებისათვის შექმნილია მოქმედი სემინარი, ხოლო პარტიული კომიტეტის ერთ-ერთი წევრი გამოყოფილია საბრიგადო პარტიული ორგანიზაციებისათვის ელექტროფიცირებისა და დახმარების გასაწევად. ყოველივე ამან საგრძნობლად შეუწყო ხელი პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტის ამაღლებას, მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის ზრდას, ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა საღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას, ახალი რეზერვების ამოქმედებას.

ჩვენს მეურნეობას მუშახელი აკლია. ამიტომ დღის წესრიგში სულ უფრო მეტი სიმწვავით დგება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საკითხი. ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხი კი ვაზის ძირების დამუშავებაა. მეტ-ნაკლებ ალბათობით ეს ოპერაციაც ადვილად ავტომატიზებულ-მექანიზებულ ფორმებს ეძებს. ამ საკითხზე ბევრ ადგილებისათვის შექმნილია მოქმედი სემინარი, ხოლო პარტიული კომიტეტის ერთ-ერთი წევრი გამოყოფილია საბრიგადო პარტიული ორგანიზაციებისათვის ელექტროფიცირებისა და დახმარების გასაწევად. ყოველივე ამან საგრძნობლად შეუწყო ხელი პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტის ამაღლებას, მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის ზრდას, ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა საღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას, ახალი რეზერვების ამოქმედებას.

ჩვენს ახალგაზრდა კოლექტივი საქმეს ენთუზიაზმით შეუდგა, მეათე ხუთწლედში მუშაობას ორი მომართულებით წარემართოთ: პირველია ძნელადმისადგომი მთიანი სათიბებია და საძოვრებისათვის ბაგირგზების კონსტრუირება, დამზადება, გამოცდა და საექსპლოატაციოდ გადაცემა, რაც საჭიროა სამთო მეცხოველეობისათვის საიმედო საკვები ბაზის შესაქმნელად. ამ სამუშაოთა შესრულება უკვე დაიწყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და მესტიის რაიონის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით.

სამმართველო, როგორც ერთიანი დამკვეთი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შეუდგა სამზაღვრო-სტერეოსკოპიერ ბაგირგზის მშენებლობას ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანაში. აქ უმოკლესი გზით სოფლის ცენტრი დაუკავშირდება ჩიტის მთაზე მდებარე ჩიის პლანტაციებს — გადაიყვანს ჩაის მკრეფავებს, გადატანს ნედლეულს და საჭირო სასუქებს.

დაპროექტების სტადიაშია თიბის ჩამოსატანი სატვირთო ბაგირგზები ჯაკის, დუშეთის, თიანეთის რაიონებისათვის.

— ამ დიდი სამუშაოების შესრულება წარმოუდგენელი იქნება საჭირო ტექნიკური ბაზის უქონლად. ამ მხრივ რა ღონისძიებები ხორციელდება?

— მარტო მეათე ხუთწლედში უნდა ავაშენოთ და საექსპლოატაციოთ უნდა გადავცეთ 21 კილომეტრი სიგრძის ბაგირგზები. ეს იმდენია, რამდენიც 30 წლის მანძილზე საქართველოში აშენდა და ამჟამად მუშაობს. რა თქმა უნდა, ამ ამოცანას ვერ შევასრულებთ, თუ სათანადოდ არ ვიქნებით უზრუნველყოფილი კაპიტალდაბანდებებით და საჭირო მოწყობილობით, ექსპერიმენტული, საწარმოო და სარემონტო ბაზებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „ყველადღიერი. მზრუნველობის შედეგად, აგრეთვე საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტის და ფინანსთა სამინისტროს დახმარებით ეს საკითხები დადებითად. წყდება. პროექტდება საჭირო ბაზები, შეექმნათ საპროექტო ორგანიზაცია, საწყვილო კომბინატი, იქმნება სხვა ახალი ქვედანაყოფები, გაიშალა სათანადო სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოები.

გადაწყვეტილია საქართველოში აშენდეს კიდული ბაგირგზების მოწყობილობის ქარხანა, რომელიც შეინებლობაზეც მეათე ხუთწლედში ეკვე სათანადო სახსრებიც არის გამოყოფილი. ჩვენმა სამმართველომ ამ ქარხნის დაპროექტების და მშენებლობის ხარისხოვნად და დროულად დამთავრების შეფობა იკისრა.

პერსპექტიული გეგმით მეათე და შემდგომ ხუთწლედებში ბაგირგზები სამჯერ და მეტად განვითარდება. ამიტომ სათანადო კადრების მომზადების საკითხი უკვე დღის წესრიგში დგას. საჭირო არა ფორმალურ ვიფიქროთ, რომ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შეიქმნას კიდევ ბაგირგზების სპეციალობა.

კიდევ სამბაგირო ტრანსპორტს დიდი მომავალი აქვს, მას ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიური ეფექტის მოტანა შეეძლია. ამიტომ „საქბაგირგზის“ სამმართველოს ახალგაზრდა კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს. მის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად.

ლენინური სტილის ომნიშვნელოვანესი ნიშანია მესრულების სისტემატიური ქმედითი კონტროლი, ოპერატიულ ბრძოლა მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ეს თუ იმ კადგენილების მიღებისას ყოველთვის ვითვალისწინებთ მათი შესრულების ვადებს, შესასრულებელ სამუშაოთა მასიურობას და შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს. დადგენილების მეტეორულ ვადებში შესრულებისადმი დაწესებული ვალის ქმედითი კონტროლი. ამ მიზნით შიმოვიდეთ საკონტროლო ბარათებსა, რომლებშიც აღინიშნება საკონტროლო პუნქტები და შესრულების დრო, აგრეთვე შესრულებისათვის პასუხისმგებელი პირნი. ამასთან ბარათი კონტროლიდან მხოლოდ მაშინ იხსნება, როცა დადგენილება მთლიანად შესრულდება.

ყოველ მომდევნო კრებაზე თუ პარტიული კომიტეტის სხდომაზე ვაკეთებთ ხოლმე ინფორმაციას ადრე მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის თაობაზე, რაც კომუნისტებს საშუალებას აძლევს სწორად იყვნენ ინფორმირებულნი მეურნეობის ამა თუ იმ უბანზე. არსებული მდგომარეობის შესახებ. ეს ამაღლებს მათ მზადყოფნასა და აქტივობას, ეფექტიანს ხდის მუშაობას ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის ბრძოლაში.

ერთგვარი წარმატებები, რომლებიც უკანასკნელ ხანებში მოვეპოვებოდ, თვითდამშვიდების უფლებას არ გვაძლევს, რადგან ჩვენს მუშაობაში ცოტა როდია ნაკლოვანებებიც, რომელთა დროულად აღმოფხვრელად ძნელია ახალი სერიოზული ამოცანების გადაწყვეტა. ეს უეჭველია ყოველსა ორგანიზაციულ-პარტიულ მუშაობაზე თქმა. საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ ყველა საბრიგადო პარტიული ორგანიზაცია, ყველა კომუნისტი ერთნაირი ძალით არ ებრძვის იმ დიდ, საპატიო ამოცანათა წარმატებით გადაასაწყვეტად, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმების გადაწყვეტილებებით არის დასახული. დღემდე ყველა რგოლში და უბანზე ერთნაირად არ იქცევა ყურადღება კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას, არსებული რეზერვების გამოვლინებამოქმედებას, წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას. ერთერთი მთავარი მოთხოვნა, რომელიც სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გაკმიდინარეობს, სახელმწიფო და საბერნერო აპარატის ყველა რგოლში ორგანიზებულობისა და დისციპლინის შემდგომი ამაღლებაა. ისმება კითხვა: რა ობიექტური მიზეზები უნდა მოიქებნოს ისეთ მდგომარეობას, როცა ერთნაირ ნიადაგურ და კლიმატურ პირობებში მოღვაწე ორმა ავროგანყოფილებამ საამეურნეო წელი სხვადასხვა შედეგით დაამთავრა?!

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „ლენინის გადაწყვეტილებანი უნდა გახდეს პარტიული კომიტეტების, ყველა კომუნისტის ცხოვრების ინტერნაციონალური ვალდებულება. ამ ინტერნაციონალური ვალდებულების ერთ-ერთ ფორმად ეკონომიკურ ინტეგრაციის ... ეფექტიანობა ... ...

ფაქტები, პროგლემები
საერთაშორისო ინფორმაციის ინსტიტუტი
საკადესი და უცხოეთის პრესის საკვანძო ბიულეტენი

სოციალისტურ ქვეყნებში

სწავლობენ რუსულ ენას

ყოველ დილით სახალხო ბულგარეთის ქალაქებსა და სოფლებში ფოსტალიონები არიგებენ 52 ენტრალურ და 51 ადგილობრივ ეთს, 230 ჟურნალს და ილუსტრირებულ ყოველკვირეულს.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში განსაკუთრებით დიდი ინტერესით კითხულობენ საბჭოთა ბლიკაციებს. მათ ყოველი მეხუთე ულგარელი იღებს.

ბურგასი — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო და კულტურული ცენტრი.

სურათზე: ქალაქის ახალი რაიონი.

სოფია-პრეს-საკადესის ფოტო.

ცისფერი დუნაის ტრასებზე

იუგოსლავიის სამდინარო სალინომ შეიმუშავა დუნაის ტრასებზე ფლოტის "განახლებისა და აუთოთების" პროგრამა 1980 ლისათვის. წლეულ გათვალისწინებულია სუბსიდიათა მეზღვაურებთან ერთად ბელგრადიდან ბუდაპეშტში გადასტანონ ტვირთების ოდი პარტია. ახალი ხაზის მომსახურებისათვის გამოყოფილია 7 სატვირთო ხომალდი, რომელიც ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით არის აღჭურვილი.

აქტიურების ძრესა

მილიონები ჯაუშობისათვის

ინგლისი სადაზვერვო სამსახურების საიდუმლო ოპერაციებზე დახარჯავს 30 მილიონ გირვანქა სტერლინგს. როგორც ლონდონის "ტაიმსი" აუწყებდა, ინგლისის მთავრობამ გამართა პარლამენტის თხოვნით 1,5 მილიონი გირვანქა სტერლინგით გაადიდოს თანხები "მიზნით უდიდესსობის უცხოეთისა და სხვადასხვა სადაზვერვო სამსახურებისათვის". ამის საპირისპიროდ მთავრობამ მკვეთრად შეამცირა ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და საცხოვრებელი მშენებლობის ასიგნებანი.

მხარს უჭერენ აგრესორებს

ამას ადასტურებს თეთრი სახლის წარმომადგენლის განცხადება

ვაშინგტონი. (საკადესი). თეორ სახლში დამთავრდა პრეზიდენტ ჯ. კარტერისა და ისრაელის პრემიერ-მინისტრის ი. რაბინის მოლაპარაკება. მოლაპარაკებამ გვიჩვენა, რომ ვაშინგტონში ადმინისტრაციის შეცვლას გაკვლევა არ მოუხდენია ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციაზე, რომელიც იმით გამოიხატება, რომ ყოველმხრივ უჭერენ მხარს ისრაელ აგრესორებს.

მოლაპარაკებაზე დიდი ყურადღება დაუთმეს ტელ-ავივისათვის ამერიკის სამხედრო დახმარების შემდგომი გაზრდის ღონისძიებათა განხილვას. კარტერის მთავრობამ მოამზადებინა საფინანსო წლისათვის უკვე 1,8 მილიარდ დოლარამდე გაზარდა ამ მიზნით ასიგნებანი, ძველი ადმინისტრაციის ბიუჯეტის პროექტში კი 1,5 მილიარდი დოლარი იყო გათვალისწინებული. მაგრამ ტელ-ავივს ესეც არ ჰყოფნის. როგორც გაზეთი "კრისჩენ საიენს მონიტორი" იუწყება, რაბინმა ვაშინგტონს მოსთხოვა კიდევ 500 მილიონი დოლარით გაუზარდოს სამხედრო დახმარება. ისრაელი დაჟინებით მოითხოვს გაგასინჯონ ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ისრაელს არ მიეწოდოს ეგრეთწოდებული „ეფოზოლური ბომბები", ან „ტოლფასოვანი იარაღით" შეიცვალოს ეს იარაღი. იგი მოითხოვა აგრეთვე მიეყიდოთ მას „ფ-16" ავიაგამანადგურებლები და სხვა იარაღი.

ვეიზმანმა ცხადყო, რომ ვაშინგტონისა და ტელ-ავივის შეხვედრებანი ახლო აღმოსავლეთის საკითხის მოწესრიგების პრობლემაზე" ერთმანეთს ემთხვევა". როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელმა გამოაცხადა, პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა დაადასტურა ამერიკის შეერთებული შტატების „ვალდებულება „ძლიერი ისრაელის შენარჩუნების" შესახებ. უფრო მეტიც, ამერიკის პრეზიდენტმა პირველად დაუჭირა მხარი ისრაელის მოთხოვნას მისთვის ეგრეთწოდებული „ნაცვითი საზღვრების" უზრუნველყოფის შესახებ. როგორც ცნობილია, ამ საბაბით ტელ-ავივი უარს ამბობს გაათავისუფლოს არაბული მიწები, რომლებიც 1967 წლის აგრესიის დროს დაიპყრო.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ამგვარი ჯანყოფადება სრულიად ეწინააღმდეგება ახლო აღმოსავლეთის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, ვაშინგტონში არაბული ქვეყნების ელჩებმა დაიჭიყონეს მოითხოვეს შეხვედრა სახელმწიფო მდივან ს. ვენსთან ახსნა-განმარტების მისაღებად.

ვაშინგტონში „სრული გაკვირვებით" მოეკიდნენ აგრეთვე ისრაელის პოზიციას, რომელიც არ ცნობს პალესტინელი ხალხის კანონიერ უფლებებს. ამას ადასტურებს თეთრი სახლის წარმომადგენლის განცხადება იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს „შესაძლებლად არ მიაჩნია" პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მონაწილეობა ახლო აღმოსავლეთის შესახებ ჟენევის საზეგო კონფერენციაში. თავის მხრივ, რაბინმა, როცა პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა, აგრეთვე უარყო პალესტინის განთავისუფლების ყოველგვარი მონაწილეობა ჟენევის კონფერენციის ეშაობაში.

ვაშინგტონის მხარდაჭერით აღფრთოვანებულმა ისრაელის პრემიერმა განაცხადა, რომ ისრაელი არაფერს არ დათმობს მთავარ საკითხებში, და „არარეალისტური" უწოდა იმის ფარაფოდს, რომ წელს მიიღწევენ რაიმე პროგრესს ომწესრიგების მიმართულებით.

მეთვალყურეთა უმრავლესობის აზრით, ამერიკა-ისრაელის მოლაპარაკების მორიგმა რაუნდმა არათუ ხელი არ შეუწყო ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტას, პირიქით, დაადასტურა, რომ ვაშინგტონი და ტელ-ავივი მსოფლიოს ამ რაიონში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის ძიების პროცესს დატორპედებას პოლიტიკის ერთგული არიან.

დაზარალებულთა დასახმარებლად

ბუქარესტის ოტოპენის აეროპორტში ჩაფრინდა საბჭოთა თვითმფრინავი „ტუ-134"-ა", რომელმაც მიწისძვრისაგან დაზარალებული ბუქარესტისა და ქვეყნის სხვა რაიონების მოსახლეობის სამედიცინო დახმარებისათვის ჩაიტანა ოთხ ტონამდე медიკამენტები, ქირურგიული ინსტრუმენტები და აპარატურა.

13-18 დოსიე ყოველ ამერიკელზე

ვაშინგტონი. (საკადესი). ამერიკელებს გამოდგებით უთვალთვალებენ მრავალი სახელმწიფო დაწესებულება და კერძო კომპანიები და სამსახურები. სულ კი მოქმედებს 6.723 სახელმწიფო და კერძო დაწესებულება, რომლებმაც 3,9 მილიარდი დოსიე გაბსნეს ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებზე და ახლა თითო ამერიკელზე 13-18 დოსიე მოდის.

ფინანსთა სამინისტროს და მის საგადასახადო სამსახურებს ხელთა აქვთ 965 მილიონი „პირადი საქმე", თავდაცვის სამინისტროს — 215 მილიონი და იუსტიციის სამინისტროს — 133 მილიონი. გამოძიებას ფედერალური ბიურო ინახავს 62 მილიონ ამერიკელის თაობების ანაბეჭდს და 480 ათასი კაცის მალულად მოსმენილი საუბრების ჩანაწერებს. სამხედრო კონტრდაზვერვას გაუხსნილი აქვს დოსიეები 106,5 ათას კაცზე.

გაბმოდიან ციურიხეთის ქალები

ციურიხი. (საკადესი). „ციურიხელი ქალები ილაშქრებენ ფაშიზმის წინააღმდეგ და იბრძვიან მთელი პროგრესული ძალების აეერთიანებისათვის" — ამ ლოზუნგით ადგილობრივ თურქეთში 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღე. თურქეთის პროგრესული ქალთა საზოგადოების ინიციატივით ქვეყნის 16 ვილაეთში გაეიმართა ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები და კონცერტები.

ყალბი მარკით

ვაშინგტონი. (საკადესი). შეერთებულ შტატებში გრძელდება სკანდალური მხილება ამერიკის კომპანიების მაქინაციებისა, რომლებიც მოგებას გამოდეგნებულნი წუნიან პროდუქციას უშვებენ. ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა კორპორაციების „ავეიმნ ხეილხისა" და „ჰაიფორ მანუფაქჩერინგის" გახმაურებული სკანდალი, რომლებიც სამმაგ ფასად ყიდიან ვერტმფრინავების მდარე ხარისხიან სათადარიგო ნაწილებს „ბელ ჰელიოპტერ კომპანისა" და „იუნაიტედ ეირკრაფტ კორპორეიშნის" ფირმების პროდუქციის სახით, რომ გახდა ცნობილი. ამგვარ საქმიანობას კომპანია „ეი-დი-ეს სპეციალ კორპორეიშნიც" მიადგეს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ამ კომპანიამ დაიწყო თვითმფრინავებისათვის უხარისხო ელექტრონული მოწყობილობის გამოშვება „ბოინგის" ცნობილი კორპორაციის სახელით. ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის ფედერალური სამმართველოს მონაცემებით, მოწყობილობა, რომელსაც „ბოინგის" ყალბი დამღა ჰქონდათ და საიმედოობისა და ხარისხის შემოწმება არ გაუვლია, დაიდგა „ბოინგ-727"-ზე და „ბოინგ-737"-ზე. სულ კიდევ 100 რეაქტიულ თვითმფრინავზე.

განსასჯელთა სკამზე

დასურული სასამართლო სხდომების სერიების შემდეგ, რომელიც მოჰყვა სასამართლო გარჩევის პირველ ეტაპს საქმეზე — „ირლანდია დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ", ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლომ სტრასბურგში მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ეზეთ „დეილი ტელეგრაფშის" ცნობით „ბრიტანეთის მთავრობისადმი მწარე დარტყმა" იყო.

თვით იმ ფაქტმა, რომ განსასჯელთა სკამზე აღმოჩნდა ინგლისი — ქვეყანა, რომელიც ამაყობს თავისი დემოკრატიული ტრადიციებით, დაანახვა მთელ კაცობრიობას ინგლისის მმართველი წრეების ფარისევლური სახე, — იმ სახელმწიფოს სახე, რომლის ხელმოწერაც არის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის აქტზე.

პროცესზე გამოჩნდა, რომ ინგლისის ჯარისკაცების სიმკაცრე ერთეული „შეცდომები" კი არ არის, როგორც ამას ოფიციალური ლონდონი ამტკიცებს, არამედ ოლსტერში ძალის საშუალებით „წესრიგის დამყარების" გულდასმით დამუშავებული პროგრამაა, რომელსაც ინგლისის ჯარის ნაწილები დიდი სიზუსტით ასრულებენ.

სასამართლო გარჩევის მორიგი რაუნდი დანიშნულია 19-22 აპრილს.

სურათზე: ძნელია წარმოიდგინოს ადამიანმა, რომ ეს მოლიმარი ჯარისკაცები რამდენიმე წუთის შემდეგ ადამიანის სახეს დაკარგავენ და ხასტიკად გაუსწორდებიან ჩრდილოეთ ირლანდიის მშვიდობიან მოქალაქეებს.

საკადესის ფოტოქრონიკა.

რამ გააბოროტა ჯორჯ მინი

საერთაშორისო შენიშვნები

თეთრი სახლის წინ პირით ლაფაიეტის სახელობის სკვერის და 16 ქუჩისაკენ რომ დადგეთ, როგორც აქ მთავრდება, მაშინ ამერიკის მრომის ფედერაცია — საწარმოო პროფკავშირების კონგრესის მეთოდსათრულიანი შენობა, რომელიც ასევე თეთრი ფერისაა, მარჯვნივ აღმოჩნდება. ადგილმდებარეობა სიმბოლურია: ამერიკის პროფკავშირების ტაბ-ბინაში საქმიანობს კაცი, რომელსაც უფრო მემარჯვენე პოლიტიკური პოზიცია უჭირავს, ვიდრე უდიდესი კაპიტალისტური ქვეყნის ხელმძღვანელობას.

ქვეყანაში მოქმედებენ პროფსაბჭოები პარტიები და ორგანიზაციები, მაგრამ ისინი ოდიოზურნი არიან და ახლანდელ პოლიტიკურ ვითარებაში ბაზარზე მხოლოდ ოცნება შეძლიათ არის პოლიტიკური და ეკონომიკური ძალების კონგლომერატი, რომელსაც საბჭოდრო-სამრეწველო კომპლექსს უწოდებენ. მაგრამ მისი ანტისაბჭოურობა თუნდაც იმით ახსნილა, რომ არ სურთ „თბილი ადგილის" დაკარგვა ამერიკის ცხოვრებაში, რომელსაც „დაძაბულობის შეხლება ემუქრება", პროფკავშირული ბოსი ჯორჯ მინი კი კლასობრივი გაბორკტების ყველა რეკორდს აჭარბებს.

მინი უკვე მეცხრე ათწლეულში გადადგა და იგი ამერიკის პოლიტიკური სცენაზე გამყინვარების პერიოდის დასაბამებულ უმძორაო კაჭარს ჰგავს. წელიწადში ერთხელ მას თეთრ სახლში საღამო-წვეულებაზე იწვევენ, პრეზიდენტის მარჯვნივ უთმობენ ადგილს და ფიქრებში წასული მინიც ოცულ სიგარას აფუტებს. შესაძლოა იგი იმ მომენტში იმაზე ფიქრობს, რომ პრეზიდენტები მიდიან და მოდიან, ხოლო მინი რჩება, ეს შეუცვლელი მინი... თუმცა, აღრე იგი ძალიან სიგარას ეწეოდა. ახლა მას ოცი მიაჭვნა. იმ დროიდან, რაც ტელეოპტიკური კუბა დაიბადა, ახლა იგი იაპაიკის სიგარებს ეწევა.

მინის ხელისუფლებას უზრუნველყოფს მისი ბატონობა პროფკავშირის წევრთა რიგების ზრდისა და მათი უფლებების დაცვისათვის ზრუნავდეს. სინამდვილეში ამერიკის შრომის ფედერაცია— საწარმოთა პროფკავშირების კონგრესი მხოლოდ თოთხმეტ მილიონ წევრს აერთიანებს, მაშინ როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სტატისტიკით ეათვალისწინებული უმუშევრების ჩათვლით, 95 მილიონი მუშა და მოსამსახურეა. ყოველი ოთხი მუშიდან მხოლოდ ერთია პროფკავშირის წევრი და არც ყველა პროფკავშირი შედის ამერიკის შრომის ფედერაციაში—საწარმოთა პროფკავშირების კონგრესში. ამასთანავე მინი სამეს ისე წარმოგვიდგენს, თითქოს იგი მთელი მუშათა კლასის სახელით ლაპარაკობდეს. ხშირად მიმართავს დემაგოგიას, მინი კი ამის დიდი ოსტატია.

მინის ცხოვრების დიდაზრი, მისი ყოველსმოცდაცალი მისწრაფება ანტიკომუნისტმი და ანტისაბჭოურობაა. „მინის აკიკატებული აქვს იდეა, რომ მისი საგზური ღმერთთან გასამგზავრებლად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ უცბოელ კომუნისტს გაადფრთხობინებს სულს", — უთხრა ერთ-ერთმა პროფკავშირულმა ლიდერმა „ვაშინგტონ პოსტის" კორესპონდენტს. თავის მხრივ კი გაზეთმა დასძინა: „მინის პიროვნება და იდეები გაბატონებულია ამერიკის შრომის ფედერაცია — საწარმოთა პროფკავშირების კონგრესში. მის თავში სხვა უფრო ძლიერი იდეა არ მოიძებნება, ვიდრე ანტიკომუნიზმი".

ამერიკის მმართველი კლასისათვის მინი იმდენად ძვირფასი „ნაპოვნია", რომ არ ყოფილიყო, ხელოვნურად შექმნიდნენ. მინის პოლიტიკური როლის საინტერესო შეფასება შეიძლება ნახოთ კარლ გერშმანის წიგნში „ამერიკის მუშათა მოძრაობის საიდუმლო პოლიტიკა". გერშმანი, „ამერიკის შეერთებული შტატების სოციალ-დემოკრატების" პარტიის ადმასრულებელი დირექტორი და აშკარა ანტიკომუნისტი, აკრიტიკებს ხელისუფლების პოლიტიკურ სიბეცეს იმის გამო, რომ იგი არასაკმარის ფინანსურ დამხარებას უწევს მინის საქმიანობას. მისთვის რომ მეტი სასარგებლო მიგეცეს, წერს იგი, მაშინ მინი „შეძლებდა უფრო ეფექტიან მეტოქეობას საბჭოთა კავშირთან იმ დონეზე, რომელსაც რუსები იდეოლოგიურ ბრძოლაში".

მაგრამ უსაზინოდაც ჯორჯ მინის საკმარისი სახსრები აქვს ანტისაბჭოთა პროპაგანდისათვის. და იგი არც იჩენს სიძუნწეს. პარადოქსი ის არის, რომ სახსრები თვით შუმბისგან შემოდის, მაგრამ პროფკავშირული შენატანების სახით. თუმცა დიდი ხანია ცნობილია, რომ მინი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ფულებსაც აჭრიალებს.

1975 წელს მინიმ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიწვია ა. სოლჟენიცინი, ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში გამართული სადილის შემდეგ მას პოლიტიკურ „დესერტად" ვამოსვლები შესთავაზა და „შემდეგ ანტისაბჭოთა ფილიპიკები ჟურნალ „ფეტ-კპპ. ფრი ტრეიდ-იუნიონ ნიუსის" სპეციალურად გაორმაგებულ ნომერში დაბეჭდა. ფირმა ხარჯებს არ ზოგავს: ეს ნომერი რუსულადაც გამოსცეს.

მინიმ აქტიურად დაუჭირა მხარი არქიანტისაბჭოური ჟურნალის „კონტინენტის" გამოცემას. მან პროფკავშირების ადგილობრივ განყოფილებებს, ბიბლიოთეკებს და ცალკეულ მოქალაქეებსაც კი დაუგზავნა წერილები თავისი ხელმოწერით, სადაც მოუწოდებდა ხელი მოეწერათ ფურნალზე და ამდენად კომეგოიაკერის როლიც კი იკისრა.

„კონტინენტის" რედაქტორმა მინის მლაქვნელური ბადლობის წერილი გაუგზავნა, რომელიც ცხადია, „აფტ-კპპ. ფრი ტრეიდ-იუნიონ ნიუსის" ინგლის ნომერში დაიბეჭდა.

ახლა მინი აპირებს 1975 წლის ბუფონადა ვ. ბუკოვსკის მონაწილეობით გაიმეოროს.

მინი ათასჯერ გამოსულა დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ, მათ შორის სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში. მას ეკიდრება ეროვნული ჩარჩოები და სურვილი აქვს საერთაშორისო ანტისაბჭოთა ჯვაროსნულ ლაშქრობას ჩაუდგეს სათავეში. მაგალითად, მან ლონდონის გაზეთ „დეილი ტელეგრაფში" გამოაქვეყნა სტატია, სადაც მკითხველებს აშინებდა, დაძაბულობის შენელებამ „დასავლეთში არასასურველი ცვლილებები, მათ შორის ანტიიმპერიული ფიქრიანობის, როგორც დემოკრატიული ფილოსოფიის ვანუყოფელა ნაწილის ნგრევის შესუსტება გამოიწვიაო".

მიუხედავად ამის მინის დროის სულიერკვეთებას ბოლო ეღება. „სტატისტიკით მისი ასაკის საშუალო ამერიკელის სიკვდილიანობის გრაფაში უნდა ირიცხებოდეს, — წერდა გაზეთ „ვაშინგტონ პოსტი", — მაგრამ მინი საშუალო ამერიკელი არ არის". რა თქმა უნდა, საშუალო არ არის და, ალბათ, ბიოლოგიური საათის ძლიერი მექანიზმიც აქვს. მაგრამ პოლიტიკურად იგი ეპოქას უიმედოდ ჩამორჩა და ეს დაასლოებით ისევე მოიხსენიებენ, როგორც ერთ დროს თითქოს შეუცვლელ გამოძიების ფედერალური ბიუროს შეფს ედგარ გუვერს — ავი სიტყვით.

გ. გერასიმოვი,

ახალი ამბების საგენტოს საკ. კორესპონდენტი.

ნიუ-იორკი.



ახალი დანიშვნები ჩინეთში

პეკინი. (საკადესი). ჩინეთის ადგილობრივი რადიოსადგურების გადაცემებიდან ცნობილი გახდა, რომ უკანასკნელ ხანს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში შვიდ პროვინციაში ახალი ხელმძღვანელები დაუნიშნავთ. ამ ცვლილებებს ეკავშირებენ იმ ამბავს, რომ მთელ ჩინეთში წმენდენ პარტიულ და სახელმწიფო აპარატს იმ „ოთხთა ჯგუფის" მომხრეებისაგან, რომელსაც ძონ ცინი — მაო-ძე-დუნის ქვრივი მეთაურობს. ახალი ხელმძღვანელები დანიშნეს იუნანის, ცინჰაის, ჰეილუნჯიანის, ჯეძიანის, ძიანსუს, გუიჭოს პროვინციებში და გუანსი-ჯუანის ავტონომიურ რაიონში. ეკიროდნენ, რომ ამ რაიონებში „ოთხთა ჯგუფს" განსაკუთრებით დიდი გავლენა ჰქონდა.

ახლაც, ისევე როგორც წინათ, ერთი და იგივე პირს ხელმძღვანელი პოსტები უკავია როგორც პარტიული, ისე ადმინისტრაციული ხასიათი, აგრეთვე ადგილობრივი სამხედრო ოლქის პოლიტკომისარიატი.

ამასთანავე ცნობილი გახდა, რომ პროპაგანდის ცენტრალური ორგანოების ახალი ხელმძღვანელები დაუნიშნავთ ძონ ცინის დაჯგუფებასთან დაკავშირებული პირების ნაცვლად, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენდა ჩინეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე და, როგორც აქ ამბობენ, უკანასკნელ ხანს კონტროლს უწევდა მათ. შეცვლილია „ენმინ ციბაოს" მთავარი რედაქტორი, ჟურნალ „ხონცის" მთავარი რედაქტორი, ცენტრალური რადიოსა და ტელევიზიის დირექტორი.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ყოველ ახალ წიგნს თან ახალი სიხარული მოაქვს. უკვე მივეჩვიეთ იმას, რომ მისი ახალი წიგნი სავსეა ახალი მნიშვნელოვანი ფიქრითა და განსჯით, ახალი ღრმა ღელვარებითა და განცდით, ბძოლავრად, მთელი გონითა და გულით ნათქვამი ახალი მხატვრული სიტყვაა მწერლისა, ახალი სიტყვაა საერთოდ ქართული მწერლობისა.

ამდაგვარ მიჩვევას რა სჯობს! დიდი გულისყურითა და სიამოვნებით წაიკითხე ახლახან გამოცემული მომცრო წიგნი კონსტანტინე ლორთქიფანიძისა, თუმცა, „მომცრო" თუ „მომსხო" წიგნსა, კაცმა რომ თქვას, თაბახთა რაოდენობით კი არა, სათქმელის მასშტაბებით უნდა ეთქმოდეს. ამ წიგნში იმდენი რამ არის სანტერესო, იგი ისეთი გემრიელებითა და სიყვარულით არის გამოცემული „ნაკადულის" მიერ, სიტყვა „მომცრო" არ ერგება მას.

წიგნს „**უშენოდ...**" ჰქვია.

სევდიანი, სასაუბრო:

კონსტანტინე ლორთქიფანიძეს ყველაზე მეტად შეეფერება ბრძოლა წინა ხაზზე მყოფ ჯარისკაცთან შედარება. დიახ, იგი ჯარისკაცია, მებრძოლია, მწერალია, თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის თავგადადებული მოქალაქეა, მაგრამ ყველაფერ ამასთან ერთად ჩვეულებრივი ადამიანია. თავისი წილი სიხარული და ზუხილი, ბედნიერება და უბედურება, ზეიმი და გლოვა, რაც ბედმა ყოველ ადამიანს არგუნა, არგუნა კონსტანტინე ლორთქიფანიძეასაც.

ამ სათაურის წარმომავლობას წიგნში დაბეჭდილი რამდენიმე ლექსი მიგვანდერძებს. და ამ ლექსებში მთავარი ის კი არ არის, რომ რამდენიმე წლის წინათ მწერლის მიერ ბრწყინვალედ თარგმნილმა იაპონურმა ტანკამ თავისი განუმეორებელი პოეტიკის ქვაღი გააყოლა მათ, არამედ ის, რომ მწერლის დიდი და ადამიანური სევდა, სევდა „უშენოდ" სიცოცხლისა, სევდა საყვარელი ადამიანის დაკარგვის შემდეგ ცხოვრებისა მკითხველს გულში ღრმად სწვდება და ძლიერ, თუმცა მშეიხარე ემოციებს აღგვიძრავს. ამ ლექსებში უსაზღვრო სევდაზე უფრო მძლავრად ერთგულების, მარადიული ერთგულების ხმა ისმის და ყველაზე შთამბეჭდავიც სწორედ ეს არის.

ამ ლექსებს გარდა წიგნში დაბეჭდილია კონსტანტინე ლორთქიფანიძის ახალი მოთხრობები — „მოვედ სინათლეზ...", „შეგონება", „ძველი ნაცნობები" („კოლხეთის ცისკრის" მოტანებზე) და—წერილები — „სიტყვის საქმე უყვარო", „სტუმარი სიმართლეს ვერ იტყვის", — სადაც თუმცა ახალი საფერერალითა და სიტყვით, მაგრამ მაინც ისევ ძველი, დიდი ხნის ნაცნობი, საკუთარი შემოქმედებითი მრწამსის ერთგული მწერალი წარმოგვიდგება თავისი მშფოთვარე გულით, მაძიებელი გონებით, მუდამ მზადმყოფი თვითდასაჯგეისათვის.

ჯერ კიდევ ამ წიგნის შთაბეჭდილებებში ვიყავი, რომ ახლახან გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე (№ 30-34) გამოქვეყნდა კონსტანტინე ლორთქიფანიძისა და ლევან სანიკიძის ეროული მხატვრული ნარკვევი **„რა მოხდა აბაშაში"**. ეს არის საოცარი სიმართლის, პარტიული, მწერლური, საერთოდ ადამიანური გულწრფელობის ჩეშმარიტი გამოხატულება, რამაც შეეძლებელია არ შეძრას მკითხველის გონება და გული.

ეს ნარკვევი ალბათ დიდხანს იქნება. საფუძვლიანი, საყოველთაო განსჯისა და განხილვის საგანი, რადგან აქ ჩვენი ახლანდელი ცხოვრების ნორმების და პრინციპების სამართლიანობა, სიცოცხლისუნარიანობა, სიკეთე მთელი სიცხადითა ჩანს გარდასულთან დაპირისპირების კონსტრასტულ ფონზე. ახლა კი მინდა მკითხველის ყურადღება იმაზე მივაქციო, რომ ამ ნარკვევსა და წიგნს „უშენოდ" ორგანულად აკავშირებს მწერლის მოქალაქეობრივი პოზიცია.

წიგნში დაბეჭდილ წერილში „**ხიტყვას საქმე უყვარს**" კონსტანტინე ლორთქიფანიძე წერს:

„ჩვენ ვიცით, რომ ქვეყანას ხალხი აშენებს, ისტორიას ხალხი ჰქმნის, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ხალხის შრომას რარიგად მოაკლდება ხარისხი და ნაყოფიერება, თუ პარტიული ხელმძღვანელი ვერ შეძლებს ერთსულად და ერთხორცად შეკრას სხვადასხვა ხასიათის, ასაკის, ზნისა და ჩვევების ადამიანები ერთი მთავარი მიზნის მიხაკენებად. დიდია, მძიმეა ეს უღელი და ვინც ამ ეპაპის ღირსეულად ეწევა, იგი, რა თქმა უნდა, ჩვენი წიგნების მთავარ გმირად უნდა იქცეს".

ეს მართლაც ერთ-ერთი მთავარ საზრუნავად და საფიქრალად უნდა იქცეს ქართული მწერლობისათვის, რადგან იმავ კონსტანტინე ლორთქიფანიძის სამართლიანი თქმით, **„ვერც ძველებმა და ვერც ახლმა თაობამ ჯერ კიდევ ვერ შეძლეს მთელი სისავსით დაეხატათ მეტად რთული და მეტად პასუხსაგები პროფესიის ადამიანი — პარტიული მუშაკი..."**

კონსტანტინე ლორთქიფანიძეს საერთოდ არა სჩვევია მარტო სხვათათვის ქადაგება. იგი თავად მიდიოდეს ამ მაგებას, თავისი წერილის სათაურში რომ გამოხატა — „სიტყვას საქმე უყვაროს". მართლაც, მისი სიტყვაცა და საქმეც ერთია. თუ დღევანდელ ქართულ მწერლობას რაიმე აკლია, ეს კონსტანტინე ლორთქიფანიძისათვის მარტო საწუხარი კი არა, საზრუნაიც არის. და აი, მან თავად სცადა შეეცვლა ეს ხარვეზი, წარმოესახა დღევანდელი პარტიული მუშაკის შრომა და ცხოვრება.

წიგნში „უშენოდ" ნათქვამი საყვედურის სიტყვა ნარკვევში „რა მოხდა აბაშაში" საქმედ იქცა. აქ მწერალმა ღრმად გაგვიხსნა და დაგვანახა გულის მგელანის პიროვნება, მისი ხასიათი და ცხოვრება, ხოლო გმირის სახით საერთოდ ახალი პარტიული მუშაკის ტიპიური მაგალითი გვიჩვენა.

ახალ ჩანგში კონსტანტინე ლორთქიფანიძე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ყველა პროფესიას ადამიანს უპირველესად მისი პროფესიული საქმე ეკალთა, „პარტიულ ხელმძღვანელს კი ყველაფერი ეხება, ყველაფერი ეკითხება... ათას განსაცდელ ფანჯარაში ერთიც რომ უდროოდ ჩაქრეს, ისიც იმას ეკითხება... ამიტომაც არის, რომ არცერთი პროფესიის ადამიანს არ შეიძლება შეხვდეს ცხოვრებაში იმდენი უძილო ღამე, იმდენი საწუხარი თუ საზრუნავი, რამდენიც ნამდვილ პარტიულ მუშაკს..."

ეს დიდი მისია პარტიული მუშაკისა ჩვენში კარგა ხნის მანძილზე ბევრს მიეწყებული ჰქონდა. იქნებ არც ახლა ესმოდეს ყველას თანაბრად კარგად, მთელი სიღრმითა და სიმწვავით, მაგრამ ახალი, დღევანდელი პარტიული მუშაკის სახელი სწორედ იმდაგვარ თავგანწირულებას, სხვათათვის დახარჯვას მოითხოვს და ერთ-ერთი ამდაგვარი წელმძღვანელი, როგორც ეს ნარკვევიდან ცხადად ჩანს, პარტიის ბაბშის რაიკომის პირველი მდივანია.

ნარკვევი გვარწმუნებს, რომ აბაშაში სასწაული მსგავსი რამ მოხდა. სასწაულებრივია ადამიანთა ასე გარდაქმნა, ცხოვრების წესის ასე ირიბულად შეცვლა, ზრდის ოფიციოზებიდან ასეთ ნაყოფიერებამდე ნახტომი, მაგრამ ამ სასწაულს „უბრალო" რეალური რამ ახდენს — ადამიანთა ნდობის მოპოვება, მათი დარაზმვა საერთო. და მაშასადამე საკუთარი საქმის გასაკეთებლად, გულწრფელობა და პატიოსნება, სიტყვისა და საქმის ერთიანობა. რაც მთავარია, გულითადობა და სიყვარული, აი ამგვარი სასწაულით შესძლო პარტიულმა ხელმძღვანელმა ჩამორჩენილი აბაშა და აბაშელები მოწინავეებად აიმაღლებინა და მათთან ერთად, ეს უკვე ჩვენს თვალში და არა



მის საკუთარში, თავადაც ამაღლებულიყო ჩეშმარიტად თანამედროვე მოწინავე პარტიულ ხელმძღვანელამდე.

გუფამ მგელაძეს აბაშაში ათასიდან ერთში კი არა, ბევრში დახვდა ჩამქრალი ფანჯარა და გაცარეტული კერა. ნარკვევში მიმქრალი ნაღვერდლის გადვებისა და შემომქმედებითი შრომის ეკონომიკურად აბრიალების შესახებ მშვენიერად არის მოთხრობილი. ბევრი რამ არის აქ საგულისხმო, ბევრი აბაშელი დიდი მოქალაქისა და მშრომელის სახელი და სახე გახდა ჩვენთვის ნაცნობი. რაიკომის მდივნის ხასიათის, გონებისა და გულის გასაგებად ჩვენთვის კარლო გრიგოლიას, ამ მშრომელი და შემომქმედი გლეხიკაცი დრამატული ცხოვრებაც იკმარებდა, რომლის ბედნიერი ფინალიც სწორედ გურამ მგელაძის დამსახურებაა, მაგრამ ეს თუმცა მეტ-ნი საგულისხმო, მაინც მხოლოდ ერთი ეპიზოდია იმ ათასებიდან, რაც რაიონის ახალ ხელმძღვანელს ხალხის სასიკეთოდ მოუმოქმედნია.

ასე გადაეკეტა ერთმანეთს მწერლის ახალი წიგნი და ახალი ნარკვევი, თუმცა ამაში გასაკვირი არაფერია. საერთოდაც, კონსტანტინე ლორთქიფანიძის მთელი შემოქმედება ერთი განუყოფელი მთელია, რადგან მწერლის შემოქმედებითი პოზიცია, ინტერესები, მრწამსი, სულისკვეთება პირველი ნაწარმოებებიდან დღემდე მყარია და იგი საბჭოთა სინამდვილეს, მისი ისტორიული განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებს უკავშირდება. თუმცა, მაინც, აქვს მწერალს თავისი გამორჩეული, უფალატო, წმიდა სიფიქალი და სათქმელი.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე ახალ ნარკვევში წერს: **„ორი რამ არის ქვეყანაზე ერთნაირად წმიდათაწმიდა, რომლის ფალატი უდიდეს ცოდვად ჩაეთვლება ადამიანს: ბრძოლის ველზე დაცული სისხლი და შრომაში დაღვრილი ოფლი. თუ ამ თავის სალოცავს კაცი განზე არ გაუფარავ, იგი მუდ

დედაქალაქის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე

ჩვენ დრო გვეძახის

ისევ შენება! ახლაც
გუგუნებს
გრდემლი — გუშინ, როდ
ესო დაკარით.
და გავუსწაოთ დროს —
საუკუნეს,
ყველა ქარიშხალს, სიცივეს
თაკარას.
მაინც არ ქმარა, მაინც არ
ქმარა,
მაინც არ ქმარა, რაც
გვიბრძოლია.
ახლა დრო ისევ გვიხმობს
სხვაგვარად,
დრო კვლავ ეძახის დროის
გოლიათს.
ჩვენ დრო გვეძახის —
დროის ტრიალში
ჩვენი ადგილი გვაქვს
ფიენილი.
დროის წინაშე, ხალხის
წინაშე
არ იყოს ერთი
ჩამორჩენილიც.
სამშობლოს იქით სხვა გზა
არ არი,
სამშობლო ჩვენი ეზო-
კარია.
ჩვენ ვხარობთ ჩვენი
ოფლით ალალით
და ვიცით, რა გვწამს, რა
გვიხარია.
ჩვენ ხვალინდელი დილა
გვეძახის —
ჩვენი სწრაფვა და ლტოლვა
რომ არი.
დღე ხვალინდელი გვიხმობს
ფერსავსე —
ჩვენი ფერსავსე კვირტი
ფომავლის,
გული ტაუოლად როდი
იწვება,
ან რად ბრიალებს ცეცხლი
თვალებში? —
ფუჭი ფიქრია წინსვლა,
მიღწევა
ბრძოლის, შრომის და
დროის გარეშე.

ევგენი ბარათაია.

□

დედამიწა ნაკრძალია!

როცა აქ, ჩვენთან
მოზეიმე მზიურ კოლხეთში
არის ნაკრძალი —
შემნახავი ირმის და
ფეველის,
მზეს შეშხარიან
ტყეთა მდგმურნი, ფრენენ
ხოხბები...
შორეთში ჩკლავენ
ადამიანს და არვინ ფეველის.
აკრძალულია
ფეველის მოკვლა... იქ კლავენ
კაცსა —
ეს სადაური,
სადაური არის კანონი?
ხელს ვაწერთ ყველა
მილიარდთა გულგასახარად:
— პლანეტა იქცეს
დიდ ნაკრძალად და
მოკვდეს ომი.
ყველა ქვეყანას
აქვს თავისი ეზო და კარი,
თავისი ენა,
თავისი ზნე, თავისი ბანგი,
თავისებური
სახე, ფერი, სახელი, გვარი
და ყველა კაცი
ჩვენი ძმაა და ამხანაგი.
კრემლშია
მუუდრო სამყაროსთვის
მებრძოლი დიდი,
თუმც მარშალია
იარაღი არ უყვარს, არა!
დედამიწაზე
ხალხებს შორის მან გასდო
ხიდი,
ადამიანი
დაამშვიდა და გაახარა.
ხმლის ჩახა-ჩუხი
ნუ იქნება შლეგთა
სურვილზე,
მშვიდობის
ნერგთა აყვავება ყველას
ვალია!
ფეველს არ ვესვრით და
ადამიანს რას უმიზნებენ?
მობეზრდა ომი
დედამიწას,
ის ნაკრძალია!

ფალვა ფენგელი.

ცისფერი ექსპრესით საბურთალოზე

რეპორტაჟი

როდის აღდგება მეტრომშენებელთა მიერ დანგრეული ვაჟაფშაველას გამზირი?

ეს კითხვა დღეს დედაქალაქის ბევრ მკვიდრს აღელვებს, გულს სტკენს. მაგრამ, გვეურწმუნეთ, რომ თვით გვიორბმშენებლებსაც ძალიან შესტკივათ გული ამ საქმისათვის და დამკვრელურ შრომას განაგრძობენ.

ვაჟა-ფშაველას გამზირზე მეტრომშენებლობა ახლა დასასრულს მიუახლოვდა.

სადგური „დელისი“ ერთობალოგანი ნაგებობა იქნება, ძალიან ორიგინალური, ფართო ვესტიბიულით. სადგურის მიდამოება დაამშვენა ააპ.ციევმა საკნებმა და მრავალრიცხოვანმა სასამსახურო დანიშნულების ნაგებობებმა.

„დელისის“ მიდამოებში გამველ-გამომველი კვლავ შენიშავს ხარიხა ამწეებს. დიახ, მათი დიმონტაჟი ჯერ კიდევ არ ხერხდება, რადგან დარჩენილია სადგურის კომპლექსის 48-მეტრიანი მონაკვეთი და 32-მეტრიანი ვენტშეერთება. სწრაფი ტემპით იგება მიწისქვეშა ჩასასვლელები, ხოლო ვესტიბიულში ბეტონის ფილებს გახლაგება მიმდინარეობს.

როგორც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვით ვაჟა-ფშაველას გამზირზე ორმხრივი გადასარბენი გვირაბის მშენებლობას. აღნიშნული მონაკვეთი სადგურ „დელისიდან“ „კომკავშირულამდე“ 1.200 მეტრია.

გადასარბენი ტრასის მშენებლობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყამირის დამუშავებას, წყლის დონის დაწევას, ბეტონის ფუნდამენტების მომზადებას, იზოლაციას, კონსტრუქციების ჩაწყობას. მეტრომშენებლებმა ამ საქმეს კარგად გაართვეს თავი. თუ მშენებლობის პირველ წელიწადს მათ მხოლოდ 200 მეტრი ორმხრივი გადასარბენი გვირაბი გაეყვანეს, მომდევნო წელიწადს უკვე 300 მეტრი გვირაბი ჩაბარეს. შემდგომ ეტაპზე კი 400 მეტრი მზა გვირაბის გაყვანა ივალდებულეს და ეს ვალდებულებაც წარმატებით გაანაღდეს.

ვაჟა ფშაველას გამზირზე, სასტუმრო „აფხაზეთთან“ სამუშაოების დაჩქარების მიზნით დაარსდა უბანი, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი დ. გურგენიძე ჩაუდგა სათავეში. ამ კოლექტივმა რეკორდი დაამყარა. სრულიად ეფექტიანი კონსტრუქციებით ძალიან შემჭიდროებულ ვადებში ააგო 215 მეტრი ორმხრივი გადასარბენი გვირაბი და სადგურ „კომკავშირულს“ მიუერთდა.

ჩვენს წინ იშლება დიდებული სანახაური — სადგური „კომკავშირული“. უზარმაზარი ნაგებობა დამშვენებულია კილობებით. ვაჟა კიდევ რამდენიმე ხანი და ვესტიბიულში აეკიდებიან ნათურები, კედლებზე ამოტვიფრული პანოები გვიამბობენ სახელოვანი კომკავშირის გმირულ წარსულზე, მის მომავალზე.

საამაყოა, რომ „კომკავშირულ“ ძირითადად მოწინავე ახალგაზრდები აგებენ, ახალგაზრდები, რომლებმაც ამ რამდენიმე წლის წინათ თავი ისახელეს მეტროპოლიტენის სადგურ „სამგორის“ მშენებლობაზე. ბევრი მათგანი ახლაც წარმატებით განაგრძობს შრომას.

პასუხსაგები ამოცანების გადაჭრა მოუხდათ უბნებს, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ გადასარბენი ტრასების მშენებლობა სადგურ „კომკავშირულიდან“ „პოლიტექნიკური ინსტიტუტისაკენ“ და პირიქით. ამ ტრასის აგებაზე საქმიანობდნენ № 23 და № 24 უბნები. შრომის პირობები ძალზე რთული იყო. მიწისქვეშა წყლები, სუსტი ქანები წინ ეღობებოდნენ გვირაბგამყვანებს. დიდა შრომამ და გარჯამ, საქმისადმი კეთილსინდისიერმა მოპყრობამ კეთილი ნაყოფი გამოიღო. ამჟამად თითქმის მზად არის ორი გადასარბენი გვირაბი.

სადგური „პოლიტექნიკური ინსტიტუტი“, მისი ნაგებობა ელექტროწყვისა და დამშეკი ქვესადგური, ორი საესკალატოროო გვირაბი და მრავალი დასახელების ნაგებობანი „შავად“ უკვე მზად არის. სადგური ყურადღებას იპყრობს ორიგინალური კონსტრუქციით, ერთთაღოვანია. მიმდინარეობს მიწისზედა სადგურების სრულყოფა როგორც პანელის ქერზე, ასევე სპორტის სასახლის წინ.

განსაკუთრებული წარმატებანია მომოკვეთული სადგურ „პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა“ და „წყრეთლის გამზირს“ შორის მდებარე ორი გადასარბენი ტრასის მოვლენლობაზე. გვირაბები ფაყვანილ იქნა მდინარე მტკვრის ქვეშ, ალაპოტიდან მეცრე სიღრმეზე. ამ სიძნელის მიუხედავად ახლა უკვე მთლიანად მზად არის ეს ტრასა, ანუ გაყვანილია 1.250 მეტრი.

სადგურ „წერეთლის გამზირზე“ ძივემართებით. აშკარად მოჩანს ამ დიდი ნაგებობის მომავალი კონტურები. ძენდება საესკალატორო გვირაბი.

და, ბოლოს, საინტერესოა „ეგაზლის მოედნის“ გადასახდომი გვირაბი. ოა მდგომარეობაა აქ? მისი ვესტიბიული შენდება ალაბოთმნისა და ორჯონიკიძის ქუჩების გადაკვეთაზე. მგზავრი ჩასასვლელით გადასასვლელ სადგურში მოხვდება. ამ სადგურის ვესტიბიულიდან დერეფნის სამუალებით შეგიძლათ დაუკავშირდეთ „ეგაზლის მოედნის“ მიწისქვეშა ვესტიბიულს.

მათი მიზანი ერთია: რაც შეიძლება მალე, ხარისხიანად აგონ მეტროს საბურთალოს 7-კილომეტრიანი ტრასა თავისი 5 სადგურით. ამასთან აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მეათე ხუთწლედმიეე დაიწყება გლდანისა და ვარკეთილის ძმათმფლობათ მეტრომშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები.

თ. ანთაძე,
გაზეთ „მეტრომშენებლის“ კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: მეტროპოლიტენის სადგურ დელისის № 27 უბნის მოწინავე მეტრომშენებლები (მარცხნიდან): საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებელი, მეარმატურე ა. ტატიშვილი, ლანდაგის დამგები ლ. ბარბაქაძე, ცვლის უფროსი რ. ჭინქლაძე და გვირაბგამყვანი ო. ხიდაშელი.

ს. კილაძის ფოტო.

ჭიდაობა

ექვსი მედალი

შვიდი ქართველი ფალავანი გამოვიდა მოხგოლეთის დედაქალაქ ულან-ბატორში გაართულ ტოადიციულ საერთაშორისო ტურნირზე თავისუფალ ჭიდაობაში და ექვსი მედალი მოიპოვა — ოთხი ოქროსა და ორი ვერცხლის.

გამარჯვებულთა შორის არის მძიმეწონიანი ნ. მოდებაძე, რომელიც გადამწყვეტ ორთაბრძოლაში დაამარცხა ევროპის ჩემპიონი ლ. შიმოხი (რუმინეთი).

შესანიშნავი ტექნიკა გამოავლინა ყველა შეხვედრაში მ. ცოფბილაძემ (ქვემძიე წონა). მის აქტივშია გადამწყვეტი მსოფლიოს ჩემპიონ ხ. ბაიხაჩუნხთან (ძონგოლეთი). კარგად იასპარეზეს კარეთვე პირველ ადგილზე გამოსულებმა ო. კაპანაძეკ (ეთრე ქვეყასმეულ) და ო. მარსაგიშვილმა (პირველი საშუალ).

ვერცხლის მედლები მოიპოვეს ა. ხულამელიძემ (ქვემსუბუქი) და ა. ავალიანიშვილმა (ეთრე საშუალ).

ტურნირში გამოდიოდნენ აგრეთვე ბულგარეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოქიდაკეები. წარმატებით გამოვიდნენ მასპინძლები, რომლებმაც ხუთი პირველი, ოთხი მეორე და ერთი მესამე ადგილი მოიპოვეს.

თხილამურები

მ ე ო რ ე ა ნ. გ ა ღ ა შ ვ ი ლ ი

კარგი სარეკორდო საჩუქარი „გიიკეთა“ თბილისელმა მოთხილამურემ ნინა ბაღაშვილმა (სპორტსაზოგადოება „კოლმეურნე“). ქალთა საერთაშორისო დღის წინ პერმში გამართულ სოფლის სპორტსმენთა ზამთრის პირველი საკავშირო თამაშების ფიგურაში მან წარმატებით იასპარეზა 20-კილომეტრიან რბოლაში. ნ. ბაღაშვილი ფინიშზე მეორე მივიდა (1 საათი, 18 წუთი და 05,98 წამი) ნინა პოდიეკოვას (პერმის ოლქი) შემდეგ — 1:17. 50,59. მესამე ადგილზეა ეტერნელი კიული მიაღწია — 1:18. 11,98.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს პერმელებმა. მეორე და მესამე ადგილებზე არიან ლატვიისა და სვერდლოვსკის ოლქის გუნდები. საქართველოს სპორტსმენები მეცხრე ადგილზე გამოვიდნენ.

ამ საკავშირო ეაპარეზობის ყველა ეტაპზე — პირველადი კოლექტივების შეჯიბრებებიდან ფინალამდე — გამოვიდა ექვს ნილიონზე მეტი სპორტსმენი. გამოჩნდა ძრაკალი ნიჭიერი მოთხილამურე, ბევრმა მათგანმა სპორტის ოსტატობის ნორმაც შეასრულა.

ორიოდე სიტყვით

კალათბურთი. გამარჯვებით დაიწყო ცსკა-ს ვიეთა ბუნდმა ამხანაგური ტურნირ აშშ-ში. ორიოდეებმა 96:80 (36:32) სძლიეს ქალაქ ტუსონის (არიზონას შტატი) უნივერსიტეტის გუნდს, ხოლო ანგარიშით 108:106 (53:60) ლონგ-ბიჩში (კალიფორნიის შტატი) ადგილობრივ კლუბს. ამ მატჩებში ყველაზე ეფექტიანი იყო ალექსანდრე სალნიკოვი — 26 და 35 ქულა.

ფეხბურთი. გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატის ორი შესარჩევი ტატი: ბოლივია-ვენესუელა — 3:1 და პარაგვაი-კოლუმბია — 1:1.

ლუსინგბერგში „ზენიტმა“ ამერიკის ქალაქ ტამპაში (ფლორიდას შტატი) ამხანაგურ მატჩში დაამარცხა ადგილობრივი კლუბი — 1:0.

ფარიკაობა. საბჭოთა ნაკრებმა ხმლით ბრძოლაში გაიმარჯვა მოიპოვა საერთაშორისო ტურნირზე ჰანოვერში. ჩვენი გუნდის ღირსეული იცავდნენ მინსკელი ვიქტორ სიდიაკი, მოსკოველი ეიქტორ კროგოპუსკოვი და ლენინგრადელი ნაზლიმოვი (მოსკოვის ოლქი). მეორე ადგილზეა უნგრეთია, მესამეზე — რუმინეთის გუნდი.

ფეხბურთი. მოსკოვში დამთავრდა არმიელთა საერთაშორისო ტურნირი. პირველ ადგილზეა დედაქალაქის მეზღვაურთა გუნდი, მეორეზე ბაქოელი მეზღვაური ფეხბურთელები არიან. ბოლოს ადგილებზე გამოვიდნენ ბელგრადის „პარტიზანი“ და კუბის რჩეული.

მოტოსპორტი. ნოვოსიბირსკელმა სერგეი ტარანენკომ ზეიმზედ მესამედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა ინცელში (ეფრ) გამართულ შეჯიბრებაზე მოტორბოლაში ყინულზე.

კრიკეტი ბალახზე. მოსკოვში „სპარტაკის“ სპორტულ თამაშობათა სასახლეში დამთავრდა 8 მარტისადმი მიძღვნილი პირველი საკავშირო ტურნირი ჰოკეიში ბალახზე ქალთა შორის, რომელიც „ოლიმპიადა — 80“-ის პროგრამაშია შეტანილი. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს მეხვდნენ უზბეკეთის ქალაქ ანდიჟანისა და მოსკოვის ოლქის სპარტაკელები. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1, მაგრამ ანდიჟანელებს ბურთების უკეთესი სხვაობა აქვთ და პირველობაც მოიპოვეს. მესამე ადგილზეა გორკის „სპარტაკი“, მეოთხეზე — ტამკენტის გუნდი.

ფეხბურთი

გამარჯვებული დაბრუნდიენ

ფლეგანდელი ფეხბურთის სეზონი ქვეყნის ალალგახრდულა ნაკრებია თეირანეს საერთაშორისო ტურნირზე წარმატებული გამოსვლით დაიწყო. ჩვენმა ფეხბურთელებმა ეკვადორელ ოატჩი ორგეს, საკუთარ კარში ორ ერთი ოერთი აო გაუშვეს და რეა გოლი გაიტანეს. თავი გამოიჩინა თეილოსლაბ შენგელიამ, რომელმაც ხუთი ბურთი გაიტანა. ორი ბურთი მოსკოველმა ტორპედოელმა ვასილიევმა შეაგდო, ერთი — თბილისელმა დაოაყლიამ.

— ტურნირი ძალი ალმოჩნდა, — უთხრა საკვლევის კორესპონდენტს ახალგაზრდული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვალენტინ ბაკოროვმა. ბოლოს ტურნირზე ბაკოროვის ბალახზე ბალ-ბალ ბალ-ბალ ბალ-ბალ